საზოგადოება ბილიკი
SOCIETY BILIKI
ბილიკებზე ცხოვრების გზაზე

წლიური ანგარიში

2023



წლიური ანგარიში

2023

ორგანიზაციის მისია:

„საზოგადოება ბილიკი“ ემსახურება თემის კეთილდღეობის ამაღლებას, თემში მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარების განვითარებითა და პასუხისმგებლობიან მოქალაქეებად მათი ჩამოყალიბების ხელშეწყობით.

ხედვა:

ჩვენი ხედვაა ძლიერი, დამოუკიდებელი ადგილობრივი თემი, რომლის წევრებსაც გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება იმისთვის, რომ დროულად შეძლონ თემში არსებული გამოწვევების, საჭიროებების დადგენა და მათი ერთობლივი ძალისხმევით მოგვარება.

პროგრამები:

- ბავშვზე ზრუნვის პროგრამა
- თემის განვითარების პროგრამა
- სამოქალაქო განათლების პროგრამა
- მოხალისეობის პროგრამა

სამიზნე ჯგუფები:

- 0-18 წლამდე ბავშვები და მოზარდები
- 18-29 წლამდე ახალგაზრდები
- ადგილობრივი თემის წარმომადგენლები

სარჩევი

„საზოგადოება ბილიკი”- ს ასოციაციის თავმჯდომარის მარინე მღებრიშვილის სიტყვა. 6

ბავშვზე ზრუნვის პროგრამის განხორციელებული პროექტები. 7

თემის განვითარების პროგრამის განხორციელებული პროექტები. 21

სამოქალაქო განათლების პროგრამა. 35

მოხალისეობის პროგრამა. 38

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოება ბილიკისთვის” დაფინანსებული ერთობლივი პროექტები. 42

2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ვიზიტები. 46

სოციალური პასუხისმგებლობა. 55

მედიის მიერ გაშუქებული სიუჟეტები და სტატიები. 56

2023 წლის ფინანსური ანგარიში. 60

პარტნიორობა და კოალიციები. 61

„საზოგადოება ბილიკი”-ს ასოციაციის
თავმჯდომარე
მარინე მღებრიშვილი

2023 წელიც გამორჩეული და დასამახსოვრებელი იყო „საზოგადოება ბილიკისთვის“. ორგანიზაციული კუთხით კიდევ უფრო გავფართოვდით და ახლა ხაშურშიც გავხსენით „ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი“, ჩვენი თანამშრომლების რიცხვი კი 71-მდე გაიზარდა.

2023 წელი ახალი პროექტებით დავიწყეთ, დავამყარეთ ახალი კონტაქტები არა მხოლო შიდა ქართლში, არამედ სხვა რეგიონებშიც, მეტად აქტიურად დავიწყეთ დასაქმების მიმართულებით მუშაობა.

წლის განმავლობაში ბევრი საინტერესო შეხვედრა ჩავატარეთ, გვქონდა სასწავლო ვიზიტი სლოვაკეთში, 6 რეგიონის მუნიციპალიტეტების, სახელმწიფო დასაქმების სააგენტოს, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წამომადგენლების მონაწილეობით, გავმართეთ ტრენინგები, საზაფხულო ბანაკები, ბიზნეს ფორუმები და შევიძინეთ ახალი პარტნიორები, რაც ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილია.

„საზოგადოება ბილიკი“ პროგრამების: ბავშვზე ზრუნვის პროგრამა, სამოქალაქო განათლების პროგრამა, თემის განვითარების პროგრამა, მოხალისეობის პროგრამა - 2023 წლის განმავლობაში მოემსახურა 3712 ბენეფიციარს.

ბავშვზე ზრუნვის პროგრამა

ჩვენ ვქმნით ოჯახურ გარემოს მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, რომლებზეც ზრუნვა სხვა არსებული ალტერნატიული ფორმებით (ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება/ცხოვრება, მინდობით აღზრდა, შვილად აყვანა) მოცემული მომენტისათვის ვერ ხერხდება; აგრეთვე ვქმნით განვითარების ალტერნატიულ მომსახურებას იმ მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის, რომელთა ოჯახებიც დღის მანძილზე ვერ ახერხებენ ბავშვზე ჯეროვან მზრუნველობასა და ზედამხედველობას.

პროგრამის მიზნები

1. პროგრამის მდგრადობის და მედეგობის გაძლიერება;
2. ბენეფიციართა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების/ ახალი ტიპის მომსახურების შეთავაზებით.

სტატისტიკა

	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	431	511
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	45	65

დღის ცენტრები „ბილიკი" და „სხივი"

პროექტის მიზანი: 6-18 წლამდე მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილების საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიური, სოციალური და საბაზო მხარდაჭერა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: 6-18 წლამდე მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ქულას;

ბენეფიციარების რაოდენობა: ორი დღის ცენტრი ემსახურება 60 ბავშვს;

მიღწეული შედეგები:

1. წლის განმავლობაში ბავშვებისთვის განხორციელდა არაერთი კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება: ასფალტზე ხატვა, ექსკურსია, ხატვის, კულინარიის, ხელგარჯილობის გაკვეთილები, ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს საზაფხულო ბანაკში ქობულეთში;
2. წლის განმავლობაში ბავშვებს ჰქონდათ შესაძლეობლობა მონაწილეობა მიეღოთ გასვლით ღონისძიებებში. ისინი ესტუმრნენ ახლად გახსნილ სასტუმრო „გორი ინნ"-ს, ხელგარიჯოლობის სტუდია „ბუდეს", თეატრს როგორც თბილისში, ასევე გორში, კოლეჯ „განთიადს", სადაც ბავშვებს გაუკეთეს მაკიაჟი, თმის ვარცხნილობა, მოაწყეს მოდების ჩვენება, რამაც ბავშვებში სიხარული და დადებითი ემოციები გამოიწვია.
3. სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით დღის ცენტრებში სისტემატურად ეწყობოდა ღონისძიებები. ბავშვებმა აღნიშნეს დედის დღე, დედაენის დღე, დედამიწის დღე და სხვა საერთაშორისო დღეები, როგორიცაა ბავშვთა დაცვის დღე და ა.შ.
4. დღის ცენტრების აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ტრენინგებსა და შეხვედრებში შემდეგ თემებზე: ბავშვთა შრომის უსაფრთხოება, ჰიგიენა და ჰიგიენური ნორმების დაცვა, ბულინგი ბავშვებში, შიშები ანუ ფობიები, სულ გაიმართა 20 ასეთი შეხვედრა.
5. დღის ცენტრის ფსიქოლოგები რეგულარულად ატარებდნენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეხვედრებს ბავშვებთან შემდეგ თემებთან დაკავშირებით: „ჰიგიენა", „ძალადობის იდენტიფიცირება და თავის დაცვა", „ემოციების გამოხატვა", „სხვისი აზრის მიმღებლობა", „ეფექტური კომუნიკაცია" და ა.შ. ასევე ეწყობდა ფილმებისა და ანიმაციების ჩვენება. ფსიქოლოგოები იყენებდნენ არტ თერაპიულ მეთოდებს, რომელიც ეფექტური გზაა საკუთარი შეგრძნებებისა და ემოციების გამოსახატად, ხელს უწყობს ფანტაზიისა და წარმოსახვის განვითარებას, აზრის გადმოცემას და სხვა.

6. ორივე დღის ცენტრის ბენეფიციარები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სახელოვნებო წრეებზე როგორიცაა ხატვა და ხელგარჯილობის/ხელსაქმის სტუდია. ბავშვები მთელი წლის განმავლობაში ქმნიდნენ სხვადასხვა თემატიკის ნამუშევრებსა და ნახატებს, გარდა ამისა მუშაობდნენ თოჯინების, სამკაულების და სხვა ხელნაკეთი ნივთების შექმნაზე, რისი რეალიზებაც სხვადახვა გამოფენა-გაყიდვებში ხდებოდა.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- გორის მუნიციპალიტეტის მერია;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კერძო პირები და ორგანიზაციები (რომლებმაც საახალწლო საჩუქრები გადასცეს ბავშვებს);
- „ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“.

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

- **დღის ცენტრ „ბილიკის“** აღსაზრდელი ლ. პ. საჭიროებდა ინდივიდუალურ ფსიქოლოგიურ მომსახურებას. ბავშვი გამოირჩეოდა არასტაბილური ემოციური მდგომარეობით, ხასიათის ხშირი ცვლილებებით, დაბალი თვითშეფასებით, სწავლისადმი უმოტივაციო დამოკიდებულებით. მასთან რეგულარულად მუშაობდა პედაგოგი, რომელიც ეხმარებოდა გაკვეთილების მომზადებასა და აკადემიური უნარების გაუმჯობესებაში. ბავშვს უჭირდა კითხვა, ასო-ბგერების ცნობა, მუდმივად ამბობდა უარს მეცადინეობაზე. გარდა ამისა, ბიჭი კლასელებთან ბილწსიტყვაობდა, გაკვეთილების მსვლელობისას აქეთ-იქით დარბოდა და არ ასრულებდა მასწავლებლის მითითებებს.

პედაგოგმა ცისანა კანიაშვილმა და ფსიქოლოგმა თამარ ცოტნიაშვილმა, ლ. პ. -ს დამრიგებელთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს. ამ გზით, ისინი შეთანხმებულად მოქმედებენ და პროგრესიც ნამდვილად სახეზეა. რეგულარულად მიმდინარეობს კონსულტაციები მშობელთანაც. პედაგოგისა და ფსიქოლოგის ერთობლივმა ჩართულობამ ბავშვს თავდაჯერებულობა შემატა. იგი უარს აღარ

ამბობს სავარჯიშოების შესრულებაზე, სცნობს ასო-ბგერებს, ლ-ს პროგრესის მიღწევაში დიდი როლი შეასრულა პედაგოგის, ფსიქოლოგის, სკოლის დამრიგებლისა და მშობლის შეთანხმებულმა ურთიერთობამ.

- **დღის ცენტრ „სხივის“** აღსაზრდელი ბ.ს.-ს აკადემიური მოსწრება ასაკთან შედარებით დაბალი იყო, სამუშაო გეგმის შედგენამდე ბენეფიციარი ვერ სცნობდა ასოებს, შესაბამისად არ იცოდა წერა-კითხვა, ასევე ვერ ასახელებდა ციფრებს და ვერ ანგარიშობდა 10-ის ფარგლებში. შემუშავდა სამუშაო გეგმა ბენეფიციარის აკადემიური უნარების განვითარების მიზნით. მას ყოველდღიურად უტარდებოდა ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა. ბენეფიციარი ყოველდღიურად მეცადინეობდა დღის ცენტრში, ასრულებდა პედაგოგის მიცემულ დავალებებს, გაწეული მუშაობის შედეგად ბ.ს. ცნობს ანბანის ყველა ასოს, შეუძლია დაწეროს სიტყვები, ასევე ცნობს ციფრებს 20-ის ფარგლებში, შეუძლია დაწეროს და წაიკითხოს ასეულების ფარგლებში ციფრები.

- გორის #მე-9 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ქალბატონი ლელა ბედოშვილი სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, უკვე ორი წელია საკუთარი ინიციატივით, მოხალისეობრივად, მათემატიკის გაკვეთილებს უტარებს დღის ცენტრის „სხივის“ ბენეფიციარებს, მისივე ინიციატივით მე-9 სკოლაში მოეწყო ჩვენი ბენეფიციარების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა.



„მცირე საოჯახო სახლები“

პროექტის მიზანი: მცირე საოჯახო სახლები განკუთვნილია სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 6-18 წლამდე ბავშვებისთვის, მომსახურების მიზანია ბავშვზე ზრუნვა და ალტერნატიული ფორმების განვითარება. მომსახურება არის 24 საათიანი;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი 6-18 წლამდე ბავშვები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 30 ბენეფიციარი იღებს მომსახურებას 3 მცირე საოჯახო სახლში (გორი-1 სახლი, ხაშური-2 სახლი);

მიღწეული შედეგები:

1. მცირე საოჯახო სახლებში სისტემატურად მიმდინარეობდა ინდივიდუალური მუშაობა როგორც პირადი აღმზრდელის, ასევე ლიდერისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგის ჩართულობით;
2. მცირე საოჯახო სახლების შინაგანაწესის შესაბამისად ყოველკვირეულად იმართებოდა სამუშაო შეხვედრები თანამშრომლებსა და ბავშვებს შორის, ასევე აქტიური თანამშრომლობა გვქონდა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარებისა და ზრუნვის სააგენტოსთან;
3. პარტნიორმა ორგანიზაციამ „ახალი სხივები” მცირე საოჯახო სახლებს მიაწოდა ფსიქოთერაპიული მომსახურება;
4. მცირე საოჯახო სახლების 30-მა ბენეფიციარმა 2 კვირის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის საზაფხულო ბანაკში;
5. ბენეფიციარები წლის განმავლობაში ჩართულები იყვნენ სხვადასხვა ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებში: სპორტულ, კულინარიის, ქარგვის, ხატვის, ჭადრაკის წრეებში;
6. 2023 წლის განმავლობაში 2 ბენეფიციარი ჩაირიცხა კოლეჯ „განთიადში”, სადაც დაეუფლნენ სტილისტის პროფესიას;
7. 1 ბავშვი ჩართული იყო „საზოგადოება ბილიკის“ პროექტში Vibes for Youth, სადაც მოხდა მისი ცხოვრებისეული და დასაქმების უნარების განვითარება სპეციალისტების მხარდაჭერით;
8. აღსაზრდელებისთვის ჩატარდა ტრენინგი ,,პირის ღრუს ჰიგიენა“, ,,თამბაქოს მავნებლობა“, ,,სამომავლო პროფესიის შერჩევა, წინა საახალწლო აქტივობა კონდიტერიის კუთხით;
9. მცირე საოჯახო სახლებში დასაქმებულმა თანამშრომლებმა 2023 წელს გაიარეს შემდეგი ტრენინგები:

- „სექსუალურ და რეპროდუქციული ჯანმრთელობა“ - ტრენინგი გაიარა 15-მა თანამშრომელმა;
- „სტრესის განსაზღვრება და გამომწვეწი მიზეზები მოზარდობის ასაკში“, „როგორ ამოვიცნოთ სტრესის ნიშნები“ - ტრენინგი გაიარა 15- მა თანამშრომელმა;
- „გარემოებები და მოზარდის ინდივიდუალური მახასიათებლები“ - ტრენინგი გაიარა 7-მა თანამშრომელმა;
- „რთული ქცევის მართვა“ - ტრენინგი გაიარა 6-მა თანამშრომელმა;
- „საკვები პროდუქტების შეძენა-შენახვა,დამუშავება და ჰიგიენური ნორმის დაცვა“ - ტრენინგი გაიარა 15 თანამშრომელმა;
- ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტების 16 დღიანი ტრენინგ კურსი, რომელიც აღიარებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ - ტრენინგ კურსი გაიარა მცირე საოჯახო სახლის 5- მა თანამშრომელმა.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კერძო პირები და ორგანიზაციები (რომლებმაც საახალწლო საჩუქრები გადასცეს ბავშვებს).

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

1. ზრუნვის სააგენტოსთან და ოჯახთან აქტიური მუშაობის შედეგად, წლის ბოლოს განხორციელდა ბენეფიციარ გ.ი.- ს ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია.
2. აქტიური მუშაობის შედეგად და-ძმა ნ. ა და დ. ა. გადაყვანილები იყვნენ დედასთან ახლოს ლაგოდეხის რაიონის მსს-ში, რაც არის წარმატება, რადგან ბავშვებს ექნებათ დედასთან აქტიური ურთიერთობა.
3. ერთ-ერთ მცირე საოჯახო სახლში ჩაირიცხა 3 ძმა, რომლებსაც ჰქონდათ ქუჩაში ცხოვრებისა და მუშაობის გამოცდილება, ასევე ჰქონდათ ქცევითი სირთულიეები და აკადემიური ჩამორჩენა. აქტიური მუშაობის შედეგად მოხდა ბავშვების სოციუმში ადაპტირება, ჩაირიცხნენ საჯარო სკოლაში და ჩაერთვნენ სხვადასხვა სპორტულ წრეებზე. ახლა კი, სამივე ძმასთან იკვეთება პოზიტიური ცვლილებები.

„დედათა და ბავშვთა თავშესაფარი“

პროექტის მიზანი: მიტოვების, რისკის, ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი 12 წლამდე ბავშვები იღებენ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ მომსახურებას და მხარდაჭერას, რომ განივითარონ უნარები. მომსახურება არის 24 საათიანი;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: მიტოვების, რისკის და ძალადობის მსხვერპლი ქალები და მათი 12 წლამდე ბავშვები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 10;

მიღწეული შედეგები:

1. 2023 წლის მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თავშესაფრით ისარგებლა 16-მა ბენეფიციარმა, მათ შორის 8 დედამ და 8 მცირეწლოვანმა.
2. ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები მუდმივად ზრუნავენ თავშესაფრის ბენეფიციარების დაბადების დღის აღნიშვნაზე. მათ ბენეფიციარ მ.ს.-ს საჩუქრად გადასცეს სახატავი საშუალებები: მოლბერტი, ტილოები, საღებავები, ფუნჯები.
3. თავშესაფარში მუდმივად ხორციელდებოდა ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობა და მუშაობა როგორც გუნდთან, ასევე ინდივიდუალურად ბენეფიციარებთან.
4. დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ყველა მცირეწლოვანი, ასაკის შესაბამისად, დარეგისტრირდა და დადიან თავშესაფართან ახლომდებარე #5 საბავშო ბაღში.
5. ბენეფიციარი პ.ჯ. მომსახურებას იღებს „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში, ადრეული განვითარების პროგრამაში.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კერძო პირები და ორგანიზაციები (რომლებმაც საახალწლო საჩუქრები გადასცეს ბავშვებს).

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

- ბენეფიციარი მ.ს, რომელსაც რელიგიური მრწამსისა და ოჯახური მკაცრი ტრადიციებიდან გამომდინარე, არ ჰქონდა ბიოლოგიური ოჯახის თანადგომის იმედი, დადგა სხვა რეალობის წინაშე. თავშესაფარში მის მოსანახულებლად მოვიდნენ ახლო ნათესავები, იყო ემოციური შეხვედრა და თანადგომის მზაობა. მ.ს.-მ თავშესაფარი დატოვა ვადაზე ადრე და მის მცირეწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობს ბიოლოგიურ ოჯახში და უსაფრთხო გარემოში. განხორციელდა მისი წარმატებული რეინტეგრაცია.
- ბ.ი.-მ თავშესაფარი დატოვა ვადაზე ადრე იგი მცირეწლოვან შვილთან ე.მ ერთად გავიდა ქ. გორში ნაქირავებ ბინაში. ჩვენი აქტიური მუშაობის შედეგად მოხდა ბენეფიციარის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის ხელშეწყობა. დავეხმარეთ საცხოვრებელი სახლის მოძიებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებაში.
- ხელი შევუწყეთ თავშესაფრის ბენეფიციარს ა.ჰ.-ს დასაქმებულიყო ქვიშხეთში არსებულ სასტუმრო „მწერლებში“. ამჟამად ბენეფიციარი აგროვებს თანხას, რათა თავშესაფრის დატოვების შემდეგ შეძლოს დამოუკიდებელი ცხოვრება.



„საზოგადოება ბილიკის” ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი

გორი და ხაშური

0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ადრეული ინტერვენცია. გორი

მომსახურების მიზანი: 0-7 წლამდე განვითარების დარღვევის ან განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვის, რუტინაზე დაფუძნებული მიდგომით, ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში - სახლში, ბაღში, ცენტრში ან ნებისმიერ სხვა გარემოში ინტერვენცია;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები;

ბენეფიციარების რაოდენობა: მომსახურებაში ჩართულია 157 ბავშვი;

მიღწეული შედეგები:

1. წლის განმავლობაში მომსახურება მიეწოდა შიდა ქართლის მასშტაბით 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების, ან ასეთი რისკის მქონე 300 ბენეფიციარს;
2. პროგრამიდან გამომდინარე სპეციალისტები ახორციელებდნენ ოჯახში ვიზიტებს, ასევე, სისტემატურად ტარდებოდა ჯგუფური სესიები ბავშვებთან;
3. 15-მდე ბავშვის ტრანზიცია განხორციელდა ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
4. 120-მდე ბავშვს ხელი შეეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცესში;
5. რეგულარული მუშაობა მიმდინარეობდა მშობლებთან მათი გაძლიერების მიზნით;
6. სუპერვიზიის ფარგლებში ხორცილდებოდა სპეციალისტების კვალიფიკაციის და ცოდნის გაუმჯობესება და შესაბამისი სუპერვიზია;
7. ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში დასაქმებულია ადრეული განვითარების 11 სპეციალისტი და 3 პროფესიული ზედამხედველი/სუპერვაიზორი.



8. ცენტრში დასაქმებული თანამშრომლოების გადამზადება ხორციელდებოდა მთელი წლის განმავლობაში, დასაქმებულთაგან 5-მა სპეციალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია.
9. წლის განმავლობაში თანამშრომლებმა აიმაღლეს ცოდნა ძალადობის და რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებით, გარდა ამისა სუპერვიზიის ნაწილში, ცოდნის გაზიარების მიზნით, თვეში ორჯერ ცენტრში დასაქმებული სპეციალისტები დანარჩენი თანამშრომლებისთვის ატარებდნენ სხვადასხვა თემაზე პრეზენტაციებს: ენა დ მეტყველება, ეფექტური კომუნიკაცია, დამოუკიდებული ცხოვრებისთვის საჭირო უნარები, ტუალეტის უნარები და სხვ.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- გორის მუნიციპალიტეტის მერია;
- „ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“.

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

- 2023 წლის 21 მარტს, დაუნის სინდრომის საერთაშორის დღეს ცენტრში ჩატარდა ღონისძიება, სადაც მოწვეულნი იყვნენ ანიმატორები ბავშვების გასახალისებლად.
- ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის სამივე პროგრამის ბენეფიციარებისთვის მოეწყო საქველმოქმედო-კულტურული ღონისძიება, კომბინატის კულტურის ცენტრში თოჯინების სპექტაკლზე „წითელქუდა“.
- 2023 წელის გაიმართა ბრტყელ ტერფიანობის უფასო სკრინინგი ბავშვებისთათვის.
- მშობლებს გაეწიათ უფასო კონსულტაციები ოჯახის ექიმთან და იურისტთან.
- 2024 წელს “საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში იგეგმება ქცევის გამოყენებითი ანალიზის/ABA პროგრამის დამატება.

0-18 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაცია-აბილიტაცია

მომსახურების მიზანი: ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება; ბავშვის ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის მაქსიმალური რეალიზება; ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის ხელშეწყობა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წელი;

სამიზნე ჯგუფი: 0-18 წლამდე ბავშვები და მოზარდები;

ბენეფიციარების რაოდენობა: მომსახურებაში ჩართულია 33 ბავშვი;

მიღწეული შედეგები:

1. რეაბილიტაცია-აბილიტაციის პროგრამაში დასაქმებულია 11 სპეციალისტი: ოკუპაციური თერაპევტი, 2 ფსიქოლოგი, 1 ექიმი ნევროლოგი, 1 ქცევის თერაპევტი, 1 სპეციალური პედაგოგი, 4 რეაბილიტოლოგი;
2. მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ხორცილდებოდა მუშაობა ბენეფიციარების მშობლებთან, 5 ბავშვთან გვაქვს მკვეთრად გამოხატული წარმატებული შემთხვევა, რომელიც უკავშირდება მათი ფიზიკური და მოტორული უნარების გაუმჯობესებას, კერძოდ ბავშვებმა შეძლეს დამოუკიდებლად გადაადგილება, მიუხედავად მათი მდგომარეობისა და დიაგნოზისა.
3. 2023 წელს მოწესრიგდა ცენტრში არსებული შიდა სამუშაო დოკუმენტები, გაიმართა შეფასების სისტემა და შემთხვევის მართვის პროცედურები გახდა მეტად ეფექტური.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- გორის მუნიციპალიტეტის მერია;
- „ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი“.

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

- პროგრამაში ჩამოყალიბდა მულტი დისციპლინალური გუნდი, პროგრამა გახდა უფრო მოქნილი და ბავშვის საჭიროებებზე მორგებული. კერძოდ აქამდე თუ სტანდარტულად ვთავაზობდით სესიებისრაოდენობასსპეციალისტებისმიხედვით,ახლამშობელიდამულტიდისციპლინალური გუნდი ერთად იღებს გადაწყვეტილებას სესიების პროფილზე და რაოდენობაზე. პროგრამაში შეიქმნა ბავშვთა ქეისები, სადაც თავმოყრილია ბავშვზე სრული ინფორმაცია. ასევე შემუშავდა ბავშვის შეფასების ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც მუშაობას დავიწყებთ 2024 წელს.
- ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭრით „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრს გადაეცა: **სარბენი ბილიკი** და **ელექტრო თერმული ცხენი**, რომელსაც რეაბილიტიაცია-აბილიტაციის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარები იყენებენ აქტიურად.

0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების ადრეული ინტერვენცია. ხაშური

მომსახურების მიზანი: 0-7 წლამდე განვითარების დარღვევის ან განვითარების შეფერხების რისკის მქონე ბავშვის, რუტინაზე დაფუძნებული მიდგომით, ბავშვისთვის ბუნებრივ გარემოში - სახლში, ბაღში, ცენტრში ან ნებისმიერ სხვა გარემოში ინტერვენცია;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: 0-7 წლამდე განვითარების შეფერხების მქონე ბავშვები;

ბენეფიციარების რაოდენობა: მომსახურებაში ჩართულია 40 ბავშვი;

მიღწეული შედეგები:

1. სულ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში დასაქმებულია 8 თანამშრომელი: კოორდინატორი, ადრეული განვითარების 6 სპეციალისტი და დიასახლისი;
2. ცენტრში ბენეფიციარების მომართვიანობა მაღალია, შესაბამისად მუშაობა 2023 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობდა აქტიურად, რათა ყველა ბენეფიციარს მიეღო ხარისხიანი მომსახურება;
3. 2023 წელს ცენტრში მოხდა თანამშრომლთა ფორმირება, ცენტრში არსებული შიდა სამუშაო დოკუმენტების მოწესრიგება და ა.შ.

ფინანსური მხარდაჭერა:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ადრა-საქართველო, პოლონეთის დახმარება.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

2023 წლის 23 ივნისს, ხაშურში „საზოგადოეაბ ბილიკის" ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი გაიხსნა, ცენტრი საწყის ეტაპზე მოემსახურება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს - სოციალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში 0 დან 7 წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნების ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებს. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და მერიამ „საზოგადოება ბილიკს" უსასყიდლო უზურფრუქტის ხელშეკრულებით გადასცა ფართი, რომელიც დონორი ორგანიზაციის ადრა-საქართველოსა და პოლონეთის დახმარების მხარდაჭერით გარემონტდა და აღიჭურვა შესაბამისი ტექნიკურ-მატერილური ბაზით. ცენტრში 2023 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო მომსახურების მიწოდება ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში.

2024 წლიდან ამავე ცენტრის ბაზაზე დაგეგმილია რეაბილიტაცი-აბილიტაციის პროგრამის დამატება, რადგან ხაშურში არ არის მსგავსი მომსახურება და იქ რეგისტირებულ ბენეფიცარებს მომსახურების მიღება უწევთ გორში, რაც სხვადახსხვა სახის სირთულესთანაა დაკავშირებული.

6-18 წლამდე ბავშვთა/მოზარდთა და მშობელთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა

ფსიქოლოგი ეკატერინე მენაბდიშვილი

მომსახურების მიზანი: ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულების ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: ბავშვები, მშობლები, რომელთაც აქვთ ფსიქოლოგიური მომსახურეობის საჭიროება;

ბენეფიციარების რაოდენობა:
18 (12 ახალგაზრდა, 6 მშობელი);

მიღწეული შედეგები:

1. წლის განმავლობაში განხორციელდა მუშაობა შემდეგი მიმართულებით: მოზარდებთან მუშაობა, რომელთა მშობლებიც წლების განმავლობაში ცხოვრობენ საზღვარგარეთ; ბავშვები, რომლებიც იზრდებიან არასრულ ოჯახში, ბავშვობის ტრავმების გავლენა ზრდასრულის ცხოვრებაზე;

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

17 წლის ახალგაზრდა მოვიდა ჩივილებით, რომ უჭირდა ემოციების მართვა, ჰქონდა ყურადღების კონცენტრაციის პრობლემა, მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ ჰქონდა პანიკური შეტევებიც, უჭირდა კომუნიკაცია.

სამუშაო პროცესი წარიმართა, როგორც მოზარდთან, ასევე მის ახლობლებთან.

ისტორია გვაძლევდა ინფორმაციას, რომ მცირე ასაკიდან მის ცხოვრებაში მუდმივად დაძაბულობა და სტრესული სიტუაციები იყო, ზრდასრულების გაურკვეველი ურთიერთობები აისახებოდა მის ემოციურ მდგომარეობაზე, უჭირდა თავისუფლად საუბარი, ჰქონდა შფოთვის მაღალი დონე.
სამუშაო პროცესი მიმდინარეობდა ფსიქოკონსულტირების, ფსიქოგანათლების და თერაპიული მეთოდების გამოყენებით.

მუშაობის პროცესი ითვალისწინებდა თვითშეფასების დარეგულირებას, რამაც შესაბამისად გაუმარტივა კომუნიკაცია, მიეწოდა ინფორმაცია ბრაზის მართვის ტექნიკების შესახებ. შფოთვის დონის დაწევისა და სტრესის დაძლევისთვის გაკეთდა „რელაქსაციის სავარჯიშოები„ ისწავლა შეტევების მართვა, ასევე არტ თერაპიული მეთოდების საშუალების დაიწია შფოთვამ, რამაც გახადა მობილიზებული, მიზნებზე ორიენტირებული. შეძლო მცირე ასაკიდან მოყოლებული არსებული წყენების, ბრაზის გაანალიზება და ურთიერთობების აღდგენა. მისი თქმით გააცნობიერა საკუთარი ცხოვრება, მოხდა გადაფასებები. ოჯახის წევრებს განემარტათ მოზარდის ფსიქო ემოციური მდგომარეობა და მიწოდათ რეკომენდაციები.

თემის განვითარების პროგრამა

ჩვენ ვზრდით ადგილობრივი თემის შესაძლებლობებს თემის წევრების კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით; მხარს ვუჭერთ ახალგაზრდებს, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ ადგილობრივი ეკოსისტემის განვითარებაში, მიიღონ ცოდნა და განივითარონ უნარები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად; ვაძლიერებთ სამოქალაქო საზოგადოებას რომ იყოს დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული.

პროგრამის მიზნები

1. მოწყვლადი ჯგუფების (მათ შორის შშმ პირების) დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის გაუმჯობესება;
2. თემის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების შეთავაზება.

სტატისტიკა

	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	1630	1601
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	9	18

ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამა (ACCESS)

პროექტის მიზანი: ინგლისური ენის შესწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი მოზარდებისთვის, რომლებიც ეზიარებიან ამერიკულ კულტურას, წეს-ჩვეულებებსა და განივითარებენ ლიდერულ თვისებებს;

განხორციელების პერიოდი: 2023;

სამიზნე ჯგუფი: 13-16 წლამდე მხარდაჭერის საჭიროების მქონე ახალგაზრდები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 26;

მიღწეული შედეგები:
1. წლის განმავლობაში იმართებოდა ინგლისურის ინტენსიური გაკვეთილები და გამამდიდრებელი აქტივობები;

ფინანსური მხარდაჭერა: ამერიკული არაკომერციული ორგანიზაცია „პროექტი ჰარმონიის ფილიალი საქართველოში“ (PH International); US Embassy.

„მნიშვნელოვანი მოვლენები”
„ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის“ სტუდენტებს ხუთ დღიანი საზაფხულო სკოლა ჰქონდათ „საზოგადოება ბილიკში“.
საზაფხულო სკოლის მიზანი იყო რომ ახალგაზრდები უკეთ გაცნობოდნენ ამერიკის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს, ასევე გაეუმჯობესებინათ უნარები, გრამატიკა და ლექსიკა.
საზაფხულო სკოლის თემატიკა:
დღე 1 - ჯეიმს თაუნი პირველი ქალაქი აშშ-ში;
დღე 2 - პირველი დასახლებულები აშშ-ში;
დღე 3 - პირველი სახელმწიფოები, გეოგრაფია, პირველი დროშა;
დღე 4 – ცნობილი პრეზიდენტები;
დღე 5 – გასვლითი ღონისძიება;
პედაგოგები: ვერიკო მიჩიტაშვილი და ნინო სარაული.

ხელგარჯილობის სტუდია

პროექტის მიზანი: ხელნაკეთი ნივთების დამზადება და რეალიზება;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: დღის ცენტრის ბენეფიციარები, ფასიანი მოსწავლეები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 15;

მიღწეული შედეგები:

1. თოჯინების დამზადება გამოფენისთვის და გასაყიდად;
2. ფასიანი ჯგუფის მიღება;
3. ბავშვებმა ისწავლეს ჯვარედინი მეთოდით ქარგვა, რასაც იყენებენ აქსესუარების დასამზადებლად;
4. ბავშვებმა ისწავლეს ბისერებით ქარგვის მეთოდები, რასაც იყენებენ სამკაულების დამზადებისას;
5. ბავშვებმა შეისწავლეს მაკრამეს მეთოდით ქსოვა, რითიც ამზადებენ სამაჯურებსა და ფსალმუნებს.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

- 2023 წლის 24 მაისს, „საზოგადოება ბილიკის" დღის ცენტრს სათემოს საჯარო სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ. ისინი, დღის ცენტრის ბენეფიციარებთან ერთად აქტიურად ჩაერთნენ სხვადასხვა სახის აქტივობებში, მათ ასევე ჩაუტარდათ თოჯინების კეთების მასტერკლასი, ხელგარჯილობის პედაგოგის ლელა ჭრელაშვილის ორგანიზებით.
- 2023 წლის 25 დეკემბერს, „საზოგადოება ბილიკს" მე-9 საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ, მათ ჩაუტარდათ თოჯინების, კერძოდ ანგელოზების დამზადების მასტერკლასი, შემდგომ კი საჩუქრად გადაეცათ საკუთარი ხელნაკეთი ნივთები.

ტრენინგ ცენტრი

პროექტის მიზანი: „საზოგადოება ბილიკის“ ბენეფიციარების, მშობლების, ახალგაზრდების, ზრდასრულების, თემის წარმომადგენლების, თანამშრომლების მხარდაჭერა და იმ ტრენინ-გების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ თვით განვითარებას/რეალიზებას, რათა გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: „საზოგადოება ბილიკის“ ბენეფიციარები, მშობლები, ახალგაზრდები, თანამ-შრომლები, ადგილობრივი თემის წარმომადგენლები.

ბენეფიციარების რაოდენობა: 430;

მიღწეული შედეგები:

1. „საზოგადოება ბილიკის” პროექტების ფარგლებში რეგულარულად ტარდებოდა ტრენინ-გები ახალგაზრდებისთვის, მედიის წარმომადგენლებისთის, ადგილობრივი თვითმმარ-თველობისა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებისთვის, ასევე თემის წარმომამდგენლებისთვის, მათი კომპეტენციებისა და უნარების ამაღლების მიზნით, წლის განმავლობაში სულ ჩატარდა **70 ტრენინგი.**

დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოში

„საზოგადოება ბილიკი" და სლოვაკური ორგანიზაცია TENENET-ი, სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს „Slovak Aid-ის ფინანსური მხარდაჭერით, ახორციელებენ ერთობლივ პროექტს **„შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე".**

პროექტის მიზანი:

- შშმ პირთა საჭიროებების განსაზღვრა და მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხელშეწყობა;
- შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად პროექტის ფარგლებში პროფესიული დისკუსიების გამართვა;
- პროფესიული დისკუსია მხარდაჭერითი დასაქმების სფეროში სლოვაკეთში არსებული გამოცდილების გაზიარებასა და შშმ პირთათვის დასაქმების პირობებისა და სამუშაო გარემოს შექმნის თაობაზე;
- შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათთან მომუშავე კადრების გადამზადება და მათი პროფესიული უნარების გაძლიერება;
- შშმ პირთათვის სამუშაო ადგილებზე ადაპტირების პროცესის გაუმჯობესება;
- დასაქმების პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება მუნიციპალურ დონეზე;

განხორციელების პერიოდი: 2021- 2023;

სამიზნე ჯგუფი: შიდა ქართლის (გორი, ხაშური), სამცხე-ჯავახეთის (ახალციხე, ბორჯომი), მცხეთა-მთიანეთის (მცხეთა, დუშეთი), ქვემო ქართლი (მარნეული), სამეგრელო ზემო-სვანეთი (ზუგდიდი), შშმპ თემი, ადგილობრივი თვითმმართველობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

ბენეფიციარების რაოდენობა: 400;

მიღწეული შედეგები:

1. სლოვაკეთში სასწავლო ვიზიტის შემდგომ დუშეთისა და ხაშურის მუნიციპალიტეტმა აქტიურად დაიწყო მუშაობა სოციალური საწარმოს შექმნაზე და სლოვაკური წარმატებული პრაქტიკის დანერგვაზე;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა შშმ პირთა დასაქმების ხელშემწყობი პროგრამა, რომლის ბიუჯეტიც საწყის ეტაპზე განისაზღვრა 10 000 ლარით;
3. გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერით სახელმწიფო დასაქმების პროგრამის ფარგლებში ჩაერთვნენ და დასაქმდნენ შშმ პირები და პროცესი კვლავ გრძელდება;
4. მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში გააქტიურდა და დაემატა წარმომადგენლები შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებს;
5. პროექტის პირველ ეტაპზე დუშეთის, მცხეთის, გორის, ხაშურისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებმა დაიწყეს შშმ პირთა ერთიანი ბაზის შექმნა, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს ამ ბაზების სრულყოფა და გაციფრულება;
6. რეგიონული ჟურნალისტებისთვის ჩატარებული ტრენინგების შემდგომ მათ შშმ პირთა გაძლიერებისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების თემატიკაზე შექმნეს სხვადასხვა სახის მედია პროდუქტი: ვიდეო რგოლი, ბლოგი, გადაცემა, სტატია, პოსტი;
7. პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივ ბიზნეს ოპერატორთა ცნობიერების ამაღლებას და მათ დაინტერესებას შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით

ფინანსური მხარდაჭერა: სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (Slovak Aid), სლოვაკური ორგანიზაცია TENENET.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

2023 წლის 23-27 აპრილს „საზოგადოება ბილიკისა" და TENENET/სლოვაკეთის ორგანიზებით და Slovak Aid-ის ფინანსური მხარდაჭერით სასწავლო ვიზიტის ფარგლებში გაემგზავრნენ სლოვაკეთში. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სლოვაკეთში არსებულ შშმ პირთა დასაქმების მიმართულებით არსებულ კანონმდებლობას და სოციალურ საწარმოთა მუშაობის წარმატებულ პრაქტიკას.

2023 წლის 3 ივლისს მარნეულში, 25 ივლისს - გორში და 26 ივლისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრთა გაძლიერების მიზნით. შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრებს წინასწარ გადაეგზავნათ „დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე 1" ფარგლებში შემუშავებული მუნიციპალურ დონეზე გასათვალისწინებელი რეკომენდაციათა პაკეტი, პირველ ეტაპზე უნდა მოეხდინათ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების პრიორიტეტიზაცია. შემდგომ უკვე, შერჩეული რეკომენდაციებისგან შეადგინეს ერთ წლიანი და ორ წლიანი მუნიციპალური სამოქმედო გეგმები, რომლებიც შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მომდევნო სხდომაზე უნდა განიხილონ და წარუდგინონ მერს. პროექტის გუნდი კი მუდმივად ადევნებს თვალს აღნიშნულ პროცესს.

ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების გაძლიერება (LINKS)

პროექტის მიზანი: პროექტი მიზნად ისახავს ცოდნისა და უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშემწყობი პლატფორმების, რესურსებისა და ღონისძიებების ხარისხის, ხელმისაწვდომობისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდას ოთხ სამიზნე რეგიონში: აჭარა, გურია, შიდა ქართლი და ქვემო ქართლი;

განხორციელების პერიოდი: 01.01.2021- 12.06.2023;

სამიზნე ჯგუფი: ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან ჩართულები საგანმანათლებლო პროცესში და არ არიან დასაქმებულები (NEET), საგანმანათლებლო სერვისების მიმწოდებლები ადგილობრივი ახალგაზრდული ცენტრები, არასამთავრობო ორგანიზაციები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 300 ახალგაზრდა, 5 პროფესიული სასწავლებლის 45 პედაგოგი;

მიღწეული შედეგები:

1. პროექტის ფარგლებში 332-მა ახალგაზრდამ შეიძინა დასაქმებისთვის საჭირო უნარები და კომპეტენციები, აიმაღლა ცოდნა ციფრულ წიგნიერებასა და სამოქალაქო განათლებაში, გაიუმჯობესა ცოდნა მეწარმეობაში. გაეწია დახმარება მიზნების დასახვასა და საკუთარი ცოდნის და უნარების განვითარებაზე;
2. ახალგაზრდებს აუმაღლდათ პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერება სკოლის დონეზე, რაც დაეხმარებათ მოსწავლეებს ინფორმირებული კარიერული არჩევანი გააკეთონ;
3. 70 ახალგაზრდებისათვის განხორციელდა პროფესიული კონსულტირებისა და კარიერიული დაგეგმვის სერვისი;
4. 4-მა ახალგაზრდა მეწარემ მიიღო მხარდაჭერა იდეების განვითარებაში, ბიზნეს რჩევების, რესურსების, და კონტაქტების უზრუნველყოფით;
5. შიდა ქართლის 5 პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებმა ტრენინგების საშუალებით მიიღეს ინფორმაცია სწავლების მეთოდოლოგიებზე, კომუნიკაციაზე, პრეზენტაციის უნარებზე.

6. გაიზარდა შიდა ქართლის პარტნიპორი 5 პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლების ინფორმირება დასაქმების ბაზრის საჭიროებებზე.
7. მოხდა 4 რეგიონის პროფესიულ სასწავლებლებს შორის რეგიონული გაცვლა, და გამოცდილების გაზიარებამ გააძლიერა პროფ. სასწავლებლებს შორის ჰორიზონტალური კავშირები;

ფინანსური მხარდაჭერა: ევროკავშირი, საქართველოს გაეროს ასოციაცია (UNAG), საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSGF).

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

- პროექტი დაეხმარა ახალგაზრდებს სამუშაო ადგილების მოძიებაში, უწყვეტი განათლების შესაძლებლობების გაუმჯობესებითა და მეწარმეობის ხელშეწყობით;
- პროექტის ფარგლებში მოხდა კერძო და საჯარო სექტორების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესება ინფორმაციის მუდმივი გაზიარების გზით, რაც, თავის მხრივ, სამუშაოს მაძიებელთა უნარ-ჩვევების განვითარებასა და დასაქმების მომსახურების მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს;
- გაიზარდა ახალგაზრდების პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, სემინარების, ლექციებისა და კარიერული კონსულტაციების გზით, ასევე პროფესიულ სასწავლებელში ვიზიტების გზით.
- ინფორმაციის მუდმივი გაზიარებით გაუმჯობესდა კერძო და სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობა, საჯარო სექტორების წარმომადგენლებს შორის კომუნიკაცია და კოორდინაცია;
- სტაჟირების პროგრამაში ჩაერთო 21 ახალგაზრდა, სტაჟირების დასრულების შემდგომ კი დასაქმდა 12 მათგანი.

აჟდარ ქარიმოვი

ბავშვობიდან სხვადასხვა ზრუნვის სახლში ცხოვრობდა. ბოლოს ხაშურიდან თბილისში საოჯახო ტიპის სახლში გადავიდა, სადაც 5 მოზარდთან ერთად ცხოვრობს.

აჟდარს ცხოვრებაში მრავალი სირთულე შეხვდა. როგორც ჰყვება, გამოუვლია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. სოციალური მუშაკების დახმარებით იცვლიდა სახლსა და გარემოს. ახლა სადაც ცხოვრობს, მოსწონს.

აჟდარ ქარიმოვი „საზოგადოება ბილიკის" დახმარებით მოხვდა LINKS-ის პროექტში, სადაც ტრენინგები გაიარა ინგლისურ ენაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, შეისწავლა გრაფიკული დიზაინი და სხვა.

„საკმაოდ ბევრი სასარგებლო ტრენინგი გავიარე. უმეტესად ტრენინგზე კიდევ იმიტომ შევდიოდი, რომ უფრო კომუნიკაბელური ვყოფილიყავი, რადგან ქართულად საუბარი მიჭირდა. ახლა კარგად ვსაუბრობ ქართულად. მეგობრებიც შევიძინე ამ ტრენინგზე და სხვადასხვა პროფესიული ინტერესიც გამიჩნდა, "- ამბობს აჟდარი.

ის პროექტის აქტიური მონაწილე იყო, რის გამოც „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდმა" საჩუქრად ლეპტოპი გადასცა. აჟდარის ერთ-ერთი გატაცება გრაფიკული დიზაინი აღმოჩნდა. ის ამბობს, რომ ტრენინგზე შეძენილი ცოდნით, ახლა უკვე დამოუკიდებლად მუდმივად ცდილობს კიდევ უფრო მეტად გაერკვეს და ისწავლოს ბევრი რამ ამ მიმართულებით: „21-ე საუკუნეა და ეს პროფესია ძალიან საჭიროა".

თუმცა, კულინარიაც აინტერესებს და ამიტომ ამ ეტაპაზე სწავლის გაგრძელება კულინარიაში გადაწყვიტა. უკვე ჩაებარა გამოცდები და მალე ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელში ჩაირიცხება.

„მაინტერესებდა ბავშობიდან და ვამზადებდი, როცა შემეძლო. ახლა საოჯახო ტიპის სახლში 6 ბავშვი ვართ და მე ვარ ოჯახის მზარეული, "- ამბობს ის.

შიდა ქართლის რეგიონული ჰაბი

პროექტის მიზანი: გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი ქვეყნის მასშტაბით;

განხორციელების პერიოდი: 2023;

სამიზნე ჯგუფი: რეგიონის დამწყები და გამოცდილი CSO/CBO, ახალგაზრდები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 200;

მიღწეული შედეგები:

1. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით საქმიანობს ახალგაზრდული კლუბი; მონაწილე 47 ახალგაზრდა;
2. ახალგაზრდების უნარ - ჩვევების განვითარება-გაუმჯობესების მიზნით ჩატარდა 5 ტრენინგი; მონაწილე 104 ახალგაზრდა;
3. გაიმართა შიდა ქართლის ახალგაზრდული ფორუმი, მონაწილე 125 ახალგაზრდა
4. ფორუმის მონაწილე ახალგაზრდების მიერ განხორციელდა 4 ინიციატივა, არაფორმალური აქტივობების, მოხალისეობრივი საქმიანობის, ევროკავშირის შესახებ სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების და პოპულარიზაციის მიზნით. მოხდა ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა;
5. წარმატებით გააგრძელა საქმიანობა გორის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულმა საბჭომ; ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 3-მა ახალგაზრდამ შიდა ქართლში მოქმედ 3 ორგანიზაციაში;
6. ახაგზრდებისათვის გაიმართა კონკურსი „დემოკრატია იწყება სკოლიდან“ და გამოვლინდნენ გამარჯვებულები;
7. მიმდინარეობს სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა;
8. შეიქმნა ქარელის ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი;

9. რეგიონში მოქმედ ბიზნესსა და სოციალურ მეწარმეებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა თემაზე: ,სოციალური პასუხისმგებლობის განვითარების პერსპექტივები შიდა ქართლის რეგიონში“.
10. შემუშავდა „საზოგადოება ბილიკის“ 2023-2028 წ.წ. სტრატეგიის საბოლოო დოკუმენტი და 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

ფინანსური მხარდაჭერა: პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

„მნიშვნელოვანი მოვლენები”

2023 წლის 1 ივნისს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის 2022-2026 წლის სტრატეგია.

მიზანი: ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისა-თვის შესაბამისი გარემოს შექმნა, სადაც ისინი შეძლებენ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას

„ახალგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა" (VIBES FOR YOUTH)

პროექტის მიზანი: პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების ინდივიდუალური ინტერესების და შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას, ადგილობრივ შრომის ბაზარზე სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას, დასაქმებასა და თვითდასაქმებაში მხარდაჭერას.

განხორციელების პერიოდი: 2023 წლის მაისი - დეკემბერი;

სამიზნე ჯგუფი: 15-დან 35 წლამდე გორსა და გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მხარდაჭერის საჭიროების მქონე ახალგაზრდები.

ბენეფიციარების რაოდენობა: 30;

მიღწეული შედეგები:

1. 2023 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში პროექტში ჩაერთო ორი ჯგუფის 30 მონაწილე, აქედან პროგრამა Next Economy სატრენინგო კურსი ცხოვრებისეული უნარებისა და დასაქმების მიმართულებით სრულად გაიარა პირველი ჯგუფის 17-მა მონაწილემ, ხოლო მეორე ჯგუფის 11-მა მონაწილემ, სულ 28 მონაწილემ.
2. მეწარმეობის სრული კურსი გაიარა პროექტის 9 მონაწილემ და მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საგრანტო კონკურსში.
3. ქოუჩის ინდივიდუალური და ჯგუფური სესიები ჩატარდა 30 ახალგაზრდასთან.
4. ფსიქოლოგისგან ინდივიდუალური სესია ინტერვენციის ეტაპზე მიეწოდა 21 ახალგაზრდას, ხოლო ჯგუფური სესია 11 ახალგაზრდას, აქედან 18 ახალგაზრდა ავლენს პოზიტიურ ცვლილებას. მონაწილეებთან ფსიქოლოგი იყენებდა შემდეგ მეთოლოგიას: ფსიქოკონსულტირება, ფსიქოგანათლება, თერაპიული შეხვედრები.
5. პროფესიულ კურსზე დარეგისტრირდა 4 ახალგაზრდა, სწავლას კი აგრძლებს 3 მათგანი.

ფინანსური მხარდაჭერა: პროექტი ხორციელდება გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და ჰერმან გმაინერის გერმანიის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, თბილისში, გორსა და თელავში „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფლის", „კახეთის სამხარეო განვითარების ცენტრის", "საზოგადოება ბილიკისა" და „კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის" ერთობლივი პარტნიორობით."

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

პროექტის მონაწილეები მეგი ცნობილაძე და იზოლდა ნოზაძე გადიან 3 თვიან და 6 თვიან მასაჟის სასწავლო კურსს (ბავშვთა მასაჟის მიმართულებით) **„საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისი"**-ში.

მეგი ცნობილაძე გვიზიარებს მოსაზრებას პროექტის შესახებ:

პროექტი **„ახალგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა"** დამეხმარა საკუთარი თავის პოვნასა და აღმოჩენაში, გამიღვიძა ის უნარ-ჩვევები, რომლებიც ჩემში მიძინებული იყო". ახლა, კი სულ სხვა ცხოვრებისეული მიზანი მაქვს, მსურს ახალი პროფესიის შეძენა და ამ მიმართულებით დასაქმება.

„დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება“

პროექტის მიზანი: ხელი შეეწყოს ადგილობრივ მუნიციპალურ პოლიტიკას, რათა გაუმჯობესდეს შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა და დაცვა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე მუნიციპლიტეტები: გორი, ხაშური, ახალციხე;

ბენეფიციარების რაოდენობა: 200;

მიღწეული შედეგები:

1. სამი მუნიციპალიტეტის მერიასთან - ახალციხე, გორი, ხაშური ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯფგუფის წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი ორი მიმართულებით: შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ საკანონმდებლო ბაზის გაცნობა; გუნდური მუშაობა, ინიციატივის წარდგენა და პასუხისმგებლობის გადანაწილება.
2. ჩატარდა სიტუაციური ანალიზი შშმ პირთა დასაქმებასთან დაკავშირებით გორში, ხაშურსა და ახალციხეში. სიტუაციური ანალიზის შესაბამისად მომზადდა შესაბამისი ანგარიში, ანგარიში მიმოიხილავს კვლევის ფარგლებში შერჩეულ მუნიციპალიტეტებში დასაქმებული საჯარო მოხელეების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა და მათი მშობლების გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით ინფორმირებულობას, ასევე, მათ პრაქტიკაში არსებულ გამოცდილებას მათივე შეფასებების საფუძველზე.
3. შეიქმნა 3 მუნიციპალური სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმები შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

ფინანსური მხარდაჭერა: პროექტი მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

2023 წლის ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით, სიტუაციური ანალიზის საფუძველზე პროექტის „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება" ფარგლებში ჩატარდა სამუშაო ჯგუფის ოთხ-ოთხი შეხვედრა ახალციხის, გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში. შეხვედრების მიზანი იყო შშმ პირთა დასაქმების კუთხით არსებული ბარიერების გამოკვეთა და მათი გადალახვის გზებზე მსჯელობა და სარეკომენდაციო სამოქმედო გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფში იყვნენ მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნესის წარმომადგენლები, შშმ პირები. შეხვედრების ფასილიტაციას უზრუნველყოფდა ცვლილებისა და კონფლიქტის მართვის ცენტრი „პარტნიორები საქართველო".

ამ ეტაპზე შექმნილია სამი მუნიციპალიტეტის: ახალციხის, გორისა და ხაშურის შშმ პირთა დასაქმების მუნიციპალური სარეკომენდაციო სამოქემდო გეგმა, რომელიც გადაგზავნილი აქვს მიზნობრივი მუნიციპალიტეტების ადგილობრივ თვითმმართველობებს, გენდერულ საბჭოებსა და შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებს. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა სამოქმედო გეგმა და ამ ეტაპზე ნაწილობრივ ასახა 2024 წლის ბიუჯეტის პროგრამაში.

სამოქალაქო განათლების პროგრამა

სამოქალაქო განათლების კლუბების ფუნქციონირების და მათში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის მეშვეობით, აგრეთვე სამოქალაქო პროგრამების შემუშავებისა, და მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის მათი მიწოდების გზით ვზრდით სამოქალაქო ცნობიერებას მოზარდებსა და ახალგაზრდებში და ვეხმარებით მათ ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად.

პროგრამის მიზნები

1. სამოქალაქო განათლების პროგრამის გავლენის / შედეგების გაძლიერება;
2. სამოქალაქო განათლების საგნის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

სტატისტიკა

	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	1550	შიდა ქართლის 56 სკოლა, 1570 მოსწავლე
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	5	5

USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა

- ✔ სასკოლო სამოქალაქო კლუბები
- ✔ სასკოლო თვითმმართველობის განვითარება
- ✔ მცირე გრანტები და ინიციატივები
- ✔ სასკოლო თემის თანამშრომლობა ადგილობრივ ბიზნესთან
- ✔ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სამოქალაქო ინიციატივებისთვის
- ✔ სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ხელშეწყობა

პროექტის მიზანი: მოსწავლეთა თვითმმართველობების, კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერება სკოლებში; მოსწავლეთა მხარდაჭერა დემოკრატიული ჩართულობის პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებისათვის.

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: შიდა ქართლის 56 სკოლა;

ბენეფიციარების რაოდენობა: 1570 მოსწავლე;

მიღწეული შედეგები:

1. პროგრამის პარტნიორი შიდა ქართლის 56 სკოლის თვითმმართველობისა და სამოქალაქო კლუბის 158 პროექტი მხარდაჭერილია;
2. მოსწავლეთა თვითმმართველობების და სასკოლო სამოქალაქო კლუბის პროექტების ფარგლებში სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად მიღებულია 27 გადაწყვეტილება;

3. ხელი შეეწყო ტექნოლოგიების დანერგვას სამოქალაქო განათლების სწავლა განათლების პროცესში;
4. განხორციელდა მოსწავლეთა გაერთიანებული 8 კამპანია/აქცია, 39 თემატური შეხვედრა საინტერესო სტუმრებთან/კომპეტენტურ პირებთან, 16 გაერთიანებული ვიზიტი სხვადასხვა უწყებებში;
5. დაფინანსდა და განხორციელდა 9 მცირე საგრანტო პროექტი;
   6.22-მა მოსწავლემ გაიარა/გადის სტაჟირების პროგრამას ადგილობრივ ბიზნეს კომპანიებში. სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში;
7. მოხდა კერძო ბიზნესის და სკოლების დაახლოება სასკოლო პროექტების მხარდაჭერის მიზნით;
8. სკოლა-ბინზესის ფორუმზე დაფინანსდა 9 პროექტი.

ფინანსური მხარდაჭერა: USAID, PH International.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

ფხვენისის საჯარო სკოლის, სამოქალაქო კლუბმა „ტოლერანტებმა" სკოლის ეზოში სკვერის მოწყობისთვის კომპანია კულასაგან მოიპოვეს დაფინანსება, ეზოს სკამები კი კომპანია „ჩინარმა" დაუმზადა. ბიზნეს კომპანიების მხარდაჭერით სკოლის ეზოში მოეწყო სცენა, ვარდების ხეივანი და ბილიკები, სკოლის დირექციის მიერ კი მოხდა ეზოს განათება და მოპირკეთება.

მოხალისეობის პროგრამა

ჩვენ მხარს ვუჭერთ მოხალისეობის კულტურის განვითარებას ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებში; სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის პროგრამების შეთავაზებით, ვზრუნავთ ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებასა და სამუშაოდ აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

პროგრამის მიზნები

1. მოხალისეობის პროგრამის შესაძლებლობების გაძლიერება ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების, გრძელვადიანი თანამშრომლობისა და წარმატებული პარტნიორობის მეშვეობით;
2. მოხალისეობის კულტურის პოპულარიზაცია და თემის განვითარებაში მოხალისეთა აქტიური ჩართვა.

სტატისტიკა

	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ბენეფიციართა საერთო რაოდენობა	37	30
თანამშრომელთა საერთო რაოდენობა	10	10

მოხალისეობა ადგილობრივ დონეზე

პროექტის მიზანი: მოხალისეობის განვითარება ადგილობრივ დონეზე;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

მოხალისეების რაოდენობა: 5;

მიღწეული შედეგები:

1. მოხალისეთა მხარდაჭერა;
2. დღის ცენტრების ბენეფიციარებისთვის არაფორმალური განათლების, გამამდიდრებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება.

სტაჟირება

პროექტის მიზანი: ახალგაზრდების პროფესიული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: ახალგაზრდები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 17;

მიღწეული შედეგები:

1. ანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 14 - მა ახალგაზრდამ და 9 მათგანი დასაქმდა;
2. „საზოგადოება ბილიკში“ არაანაზღაურებადი სტაჟირება გაიარა 3-მა სტუდენტმა.

სასწავლო პრაქტიკა

მიზანი: პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;

განხორციელების პერიოდი: 2023 წელი;

სამიზნე ჯგუფი: სტუდენტები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 8;

მიღწეული შედეგები:

1. გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6-მა, ჩეხეთის კარიტასის კოლეჯის 1-მა და ჰოლანდიის HAN უნივერსიტეტის 1-მა სტუდენტმა სასწავლო პრაქტიკა გაიარეს „საზოგადოება ბილიკში".;
2. პრაქტიკანტებმა მიიღეს ინფორმაცია ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე; გაიგეს თუ რა არის ფსიქოლოგიური და სოციალური სამსახურის როლი ორგანიზაციაში; როგორია ბენეფიციარებთან აქტიური მუშაობის ტექნიკები, აიმაღლეს კვალიფიკაცია ფსიქოლოგიურ და სოციალურ მუშაობაში.

პარტნიორები:
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჩეხეთის კარიტასის კოლეჯი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ილიაუნი, ჰოლანდიის HAN უნივერსიტეტი.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ექვსმა სტუდენტმა "საზოგადოება ბილიკის" ფსიქოლოგიურ სამსახურში 2 თვიანი პრაქტიკის კურსი გაიარა.

სასწავლო პრაქტიკის კურსის განმავლობაში, პრაქტიკანტებმა მიიღეს ინფორმაცია ორგანიზაციის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე, გაიგეს თუ რა არის ფსიქოლოგიური სამსახურის როლი ორგანიზაციაში, როგორია ბენეფიციარებთან აქტიური მუშაობის ტექნიკები, ასევე მიიღეს ინფორ-მაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

დაან ვან დერ მოლენი (Daan van der Molen)

მე ვარ დაან ვან დერ მოლენი, 24 წლის, საერთაშორისო სოციალური მუშაობის სტუდენტი არნემისა და ნიჟმეგენის უნივერსიტეტიდან, ნიდერლანდებში.

ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, მე მჭირდებოდა სოციალურ მუშაკად მუშაობის გამოცდილება. რადგანაც ვსწავლობ საერთაშორისო სოცილაურ მუშაობაზე, ჩემთვის რეკომენდებული იყო, რომ პრაქტიკა გამევლო უცხო ქვეყანაში. მიუხედავად იმისა, რომ მთელი მსოფლიო ღია იყო ჩემთვის, მე გადავწყვიტე სასწავლო პრაქტიკა საქართველოში, „საზოგადოება ბილიკში" მქონოდა.

პანდემიის დაწყებამდე უკვე მქონდა მოგზაურობის გეგმები საქართველოში. მისი ბუნებრივი სილამაზის, მდიდარი და თვალსაჩინო ისტორიის, თანაბრად მდიდარი კულტურის გამო.

თავად „ბილიკიც" მიმზიდველი იყო ჩემთვის; კარგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია, რომელსაც მრავალი განსხვავებული პროექტი აქვს და თითოეული მათგანისგან კი მე ბევრს ვისწავლიდი.

2023 წლის 21 აგვისტოს გორში გადავედი საცხოვრებლად და მომდევნო კვირიდან დავიწყე სასწავლო პრაქტიკა „საზოგადოება ბილიკში".

პროცესი ჩემთვის კომფორტული და მარტივი იყო, რადგან „ბილიკის" თანამშრომლები დამეხმარნენ საცხოვრებლის მოძებნაში და გორში ტრანსპორტირებაში.

ამ დაახლოებით 5-თვიანი სასწავლო კურსის დასასრულს ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ვისწავლე დროთა განმავლობაში, რადგან გასახსენებლი ბევრია.

მე გავეცანი ორგანიზაციის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროს. მე მქონდა შესაძლებლობა ბევრი რამ გამეგო საქართველოს სოციალური სისტემის შესახებ.

სწავლის პერიოდში გარკვეულწილად მომზადებული ვიყავი სხვადასხვა კულტურებთან მუშაობისთვის ენობრივი ბარიერის გათვალისწინებით, თუმცა ეს ცოტაა იმ გამოცდილებასთან შედარებით, რაც მე მივიღე ყოველდღიური გამოცდილებით „ბილიკში" და ზოგადად საქართველოში მუშაობისას. თუმცა, ამავდროულად რთულია იმის შედარებაც კი, თუ სად დავიწყე და სად ვარ ახლა.

ყველაზე აქტიური ვიყავი „ბილიკის" დღის ცენტრებში, სადაც კოლეგებთან ერთად მოვახერხე ორგანიზება, ან მონაწილეობა მიმეღო ბევრ აქტივობაში ბენეფიციარებთან ერთად. ადრე ამ ასაკობრივ ჯგუფთან მუშაობის დიდი გამოცდილება არ მქონდა. ამან ასევე მომცა სწავლის მოტივაცია თავიდან. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებთან კონტაქტი შედარებით ბუნებრივი იყო, აშკარად ბევრი რამ იყო სასწავლი.

რადგანაც მე არ მქონდა ამ ასაკობრივ ჯგუფებთან მუშაობის დიდი გამოცდილება, ამან გაართულა ქცევების გაგება, რადგან მიჭირდა განმესაზღვრა იყო თუ არა რაიმე ქცევის პრობლემა ბავშვში, თუ ეს ხდებოდა კულტურის განსხვავებულობის გამო, ან უბრალოდ მე არასწორად გავიგე რაღაც ქართულის არ ცოდნის გამო. ახლა მე უკვე შემიძლია უკეთ გავუკეთო ინტერპრეტაცია ასეთ სიტუაციებს და მივხვდე რა ქცევა რითია განპირობებული.

მიუხედავად იმისა, რომ დრო და გამოცდილება ბუნებრივად დაგვეხმარა, ვფიქრობ, არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ ეს ჩემი კოლეგების დამსახურებაა. ქართულის ყოველკვირეული გაკვეთილებიდან დაწყებული, მათთან სიტუაციების განხილვისა და რეფლექსიის შესაძლებლობამდე, მათი წვლილი ფასდაუდებელი იყო ჩემს სასწავლო პროცესში.

მალე ჩემი დრო აქ ამოიწურება. მოხარული ვარ, რომ მალე წავალ სახლში და ვნახავ ოჯახს და მეგობრებს, მაგრამ ასევე ვწუხვარ, რომ უკვე მომიწევს ამ ლამაზი ორგანიზაციისა და ქვეყნის დატოვება. დაწყებული სასეირნო ბილიკებიდან მშვიდ მთებში, მშვენიერ „სუფრაზე" დასწრებამდე, ლიტერატურული ისტორიის გავლა თითქმის ყველგან, სადაც კი წახვალთ და ყველას გაუთავებელი სტუმართმოყვარეობა და გულუხვობა „ბილიკში" და ზოგადად ქართველებში.
ერთმა ნაცნობმა მითხრა ერთხელ: „ქართველებში ყველაზე ძნელი სანაცვლოდ რაღაცის მიცემაა".

გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში „საზოგადოება ბილიკისთვის" დაფინანსებული ერთობლივი პროექტები

ბაკურიანის საზაფხულო ბანაკი 2023

პროექტის მიზანი: ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: ახალგაზრდები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 150;

მიღწეული შედეგები: ტრენინგებსა და არაფორმალურ აქტივობებში 150 ახალგაზრდის ჩართვა;

ფინანსური მხარდაჭერა: გორის მუნიციპალიტეტის მერია.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

2023 წლის ზაფხულში, გორის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივით „განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის" ფარგლებში დაფინანსებული პროექტი „საზაფხულო ბანაკი 2023" განხორციელდა.

გორის მუნიციპალიტეტის მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის ინიციატივით, ბაკურიანის საზაფხულო ბანაკმა გორელ ახალგაზრდებს უკვე მეორედ უმასპინძლა.

პროექტში მონაწილეობა 150-მა ახალგაზრდამ მიიღო. ისინი კონკურსის წესით შეირჩნენ. კონკურსში მონაწილეობა შეეძლოთ გორის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალგაზრდებს 16-დან 20 წლის ჩათვლით.

ბანაკის წევრებს, რომლებიც ბაკურიანს სამ ეტაპად სტუმრობდნენ, ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგი თემების შესახებ:

- ემოციების მართვა, ეფექტური კომუნიკაცია;
- პროფესიული ორიენტაცია, კარიერის დაგეგმვა;
- ადგილობრივი თვითმმართველობა,
- სამოქალაქო აქტივიზმი,
- ადვოკატირება;
- პროექტების წერა;
- ემოციური კაპიტალი;

გარდა აღნიშნულისა, პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და გასართობი აქტივობებიც.

პროექტი ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ „საზოგადოება ბილიკმა" განახორციელა.

„ხელი-ხელს"

მიზანი: ხელი შევუწყოთ გორის მუნიციპალიტეტის 0 დან 7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის, ან ასეთი რისკის მქონე ადრეული ჩარევის პროექტში ჩართული ბავშვების განვითარების სტიმულირებას, რათა მოხდეს მათი ჩართულობა სკოლამდელ და სასკოლო ცხოვრებაში;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: 0-7 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის, განვითარების დარღვევის ან ასეთი რისკის მქონე ბავშვები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 240;

მიღწეული შედეგები:

1. 2023 წელს პროგრამაში დასაქმებულია 4 სპეციალისტი: 2 მეტყველების სპეციალისტი, 1 ფიზიკური თერაპევტი, 1 ოკუპაციური თერაპევტი.
2. აღნიშნული პროექტი შესაძლებლობას გვაძლევს ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართულ ბავშვებს და მათ ოჯახებს შევთავაზოთ მათი საჭიროებიდან გამომდინარე **4 სპეციალისტის** დამატებითი უფასო მომსახურება, რაშიც იგულისხმება ბავშვთან თერაპიული მუშაობა და მშობლის უნარების გაძლიერება.

ფინანსური მხარდაჭერა: გორის მუნიციპალიტეტის მერია.

„მნიშვნელოვანი მოვლენები"

2023 წლის მანძილზე აქტიური მუშაობა ხორციელდებოდა ცენტრის ბენეფიციარებთან და მათ მშობლებთან, აღნიშნული პროექტის ძლიერი მხარეა ის, რომ მიზნები გამომდიანრეობს ბენეფიციართა საჭიროებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო ვაუჩერით განსაზღვრული 8 ვიზიტი/სესია უმრავლეს ბენეფიციართან არ არის საკმარისი, ამიტომ ეფექტური შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანი იყო დამატებითი სპეციალისტების მომსახურება, რაც მთავარია აღნიშნული მომსახურება მშობლებისთვის იყო უფასო.

„რეკრეაცია ბავშვებისთვის"

მიზანი: „საზოგადოება ბილიკის" ბენეფიციარების არაფორმალური განათლების, კულტურული განვითარების და რეკრეაციის ხელშეწყობა საზაფხულო ბანაკის მეშვეობით, მათი სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია პანდემიის პერიოდის შემდეგ სოციალურად დაუცველი ბავშვების სოციალიზაციის მიზნით, მათი გარემოს ცვლილება და დასვენება/რეკრეაცია;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: დღის ცენტრების ბენეფიციარები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 40;

მიღწეული შედეგები:

1. დღის ცენტრების 40 ბენეფიციარი 8 დღით იმყოფებოდა საზაფხულო ბანაკში ქობულეთში, სადაც ბავშვებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის არაფორმალურ აქტივობებში, როგორიცაა ვიქტორინები, თამაშები, სპორტული აქტივობები და სხვა;
2. ბანაკის პერიოდში ბავშვებმა მოინახულეს ქობულეთის ტერიტორიაზე არსებული დენდროლოგიური პარკი, მუსიკოსთა პარკი, დაათვალიერეს „მინიატურული საქართველო", ასევე იმყოფებოდნენ გასართობ პარკ „ციცინათელაში" ატრაქციონებზე.

ფინანსური მხარდაჭერა:
გორის მუნიციპალიტეტის მერია.

„თანადგომა"

მიზანი: „საზოგადოება ბილიკის" დღის ცენტრების ბენეფიციარების ჯანმრთელობის და საბაზისო მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხელშეწყობა;

განხორციელების პერიოდი: 2023 წ.;

სამიზნე ჯგუფი: დღის ცენტრის ბენეფიციარები;

ბენეფიციარების რაოდენობა: 60;

მიღწეული შედეგი: ორი დღის ცენტრის „ბილიკის" და „სხივის" ბენეფიციარებისთვის საბაზო კვებითი მომსახურეობის მიწოდება, პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

ფინანსური მხარდაჭერა: გორის მუნიციპალიტეტის მერია.

2023 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ვიზიტები

ხათუნა დიდებელი
„საზოგადოება ბილიკის“ იურისტი

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს ახალი კანონი და თანმდევი საკანონმდებლო ცვლილებები, მათ შორის ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. შესაბამისად, ა(ა)იპ-ებს დაევალათ სადამფუძნებლო დოკუმენტების შინაარსობლივი მხარის და სარეგისტრაციო მონაცემების ახალი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. ახალ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით აუცილებელი გახდა ასოციაციის წესდების 2021 წლის ვერსიაში ცვლილებები შეგვეტანა. 2023 წლის ივნისის თვეში „საზოგადოება ბილიკის“ იურისტის აქტიური მუშაობით, ასოციაციის წესდებაში შევიდა მთელი რიგი ცვლილებები და სადამფუძნებლო დოკუმენტების შინაარსობლივი მხარე და სარეგისტრაციო მონაცემები ახალ კანონთან შესაბამისობაში მოვიდა, შესაბამისად, წარმატებით დარეგისტრირდა ცვლილებები.

მიმდინარე წელს ორგანიზაციის იურისტმა შეიმუშავა ა(ა)იპ “საზოგადოება ბილიკის” - **“ქცევის კოდექსი”** , რომლის მიზანია ხელმძღვანელი პირისთვის და ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის სავალდებულო ქცევის ერთიანი წესების ჩამოყალიბება. კოდექსი ეყრდნობა სამართლიანობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, კოლეგიალობის და პირადი პასუხისმგებლობის ძირითად პრინციპებს. კოდექსის მოქმედება თანაბრად ვრცელდება “საზოგადოება ბილიკის” ყველა თანამშრომელზე და ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა პირზე, განურჩევლად მხარეებს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსისა, დაკავებული თანამდებობისა თუ საქმიანობის წარმოების გეოგრაფიული არეალისა.

ადრეული გამოვლენა და ტრანზიცია, ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარება

2023 წლის 1 დეკემბერს, ადრეული გამოვლენისა და ტრანზიციის პროცესის ჰოლანდიური გამოცდილების გაზიარების მიზნით, „საზოგადოება ბილიკმა“ გამართა შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა თუ როგორია ჰოლანდიაში საბავშვო ბაღიდან სკოლაში გადასვლის პროცესი.

შეხვედრაზე „საზოგადოება ბილიკის“ სასწავლო პრაქტიკის მონაწილე Daan van der Molen მონაწილეებს გააცნო ჰოლანდიური პროექტი, სახელწოდებით Alert4You, ეს არის პროექტი, რომელიც ფოკუსირებულია ადრეულ გამოვლენაზე და ასევე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს შორის სამუშაო ურთიერთობაზე.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს გორის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს სპეციალისტებმა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელებმა და აღმზრდელებმა.

„საზოგადოება ბილიკის“ 5 წლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნა 2023-2028

ევროკავშირისა (EU) და კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ დაფინანსებული პროექტის “სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა” ფარგლებში, „საზოგადოება ბილიკმა“ ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის განახლება შეძლო. ამ პროცესში კი „პარტიორობა საქართველოს“ წარმომადგნლები მილენა მითაგვარია და ნათია გოფოძე დაეხმარნენ.

ამ ეტაპისთვის უკვე შექმნილია 5 წლიანი სტრატეგიული გეგმა (2023 -2028) და 2023 - 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

„საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტის გახსნა ხაშურში

2023 წლის 23 ივნისს, ხაშურში ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის გახსნის ღონისძიება გაიამრთა. შეხვედრაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ: მარინე მღებრიშვილი, „საზოგადოება ბილიკის“ ასოციაციის თავმჯდომარე, ორგანიზაცია ADRA-ს დირექტორი ვინოდ ნელსონი და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, თენგიზ ჩიტიაშვილი.

ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრის გამოცდილებასა და ისტორიაზე ისაუბრა ხვიჩა პოსოშვილმა - „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვზე ზრუნვის პროგრამის მენეჯერმა;

ცენტრი საწყის ეტაპზე მოემსახურება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს - სოციალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში 0 დან 7 წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნების ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებს.

შემდეგ ეტაპზე კი დაგეგმილია ზემოთ აღნიშნული პროგრამის ერთ - ერთი ქვეპროგრამის რეაბილიტაცია / აბილიტაციის დამატება, რომლის ფარგლებშიც უკვე მოვემსახურებით 0 დან 18 წლამდე შშმ სტატუსის მქონე ბენეფიციარებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ:

- პოლონეთის საელჩოს წარმომადგენელი;
- ნატო ჩაფიძე - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი;
- მერი მაღლაფერიძე - ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი;
- ნინო ლიპარტელიანი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
- ქეთევან ციმაკურიძე - შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის წარმომადგენელი;
- მედიის წარმომადგენლები;
- მოწვეული სტუმრები.

აღნიშნული ცენტრისთვის ფართი უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე, საზოგადოება ბილიკს“ გადასცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ. ცენტრის აღჭურვა, სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა დონორმა ორგანიზაციამ, „ადრა საქართველომ “, „პოლონეთის დახმარების“ თანამშრომლობით.

პოლონეთის საელჩოს, ადრა-საქართველოს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების სტუმრობა„საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრში

2023 წლის 17 მაისს, „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარებს ცენტრს ხაშურში პოლონეთის საელჩოს, ადრა-საქართველოსა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომად-გენლები ესტუმრნენ.

“საზოგადოება ბილიკის” ასოციაციის თავმჯდომარე მარინე მღებრიშვილმა სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა ბავშვზე ზრუნვის პროგრამის შესახებ და გააცნო ადრეული ინტერვენციის პროექტი და ორგანიზაციის სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

სასწავლო ვიზიტი სლოვაკეთში

როგორც ამბობენ ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობიაო! სლოვაკეთის სასწავლო ვიზიტის მონაწილეები, 6 რეგიონის მუნიციპალიტეტების, სახელმწიფო დასაქმების სააგენტოს, ბიზნესის, არასამთავრობო ორგანიზაციების და მედიის წამომადგენლები ბევრ საინტერესო შეხვედრას დაესწრნენ.

მოინახულეს სარეაბილიტაციო ცენტრი დუბრავკაში, კაფე „როდნიჩკა“, სოციალური საწარმო „ვასკო“, ბანსკა ბისტრიცას რეგიონული განვითარების ცენტრი, გაეცნენ „მაკდონალდის“ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში შშმ პირთა დასაქმების შესაძლებლობებს, გაესაუბრნენ ორგანიზატორებს და ბენეფიციარებს. საინტერესო შეხვედრები გაიმართა სლოვაკეთის რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და ოჯახის სამინისტროში, სადაც სამინისტროს წარმომადგენლებმა გაგვაცნეს დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებები, პროგრამები და პროექტები, ასევე ისაუბრეს სლოვაკეთში სოციალური ეკონომიკის ეკოსისტემის განვითარებაზე. ვიზიტის მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კომისარს, ქალბატონი ევა სტავროვსკას და მისგან მოესმინათ კომისრის ამოცანების, პასუხისმგებლობისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. განსაკუთრებული შეხვედრა გაიმართა პარტნიორი ორგანიზაცია TENENET-ის ოფისში, რომელიც სლოვაკეთში ერთერთი უდიდესი არასამთავრობო ორგანიზაციაა და უამრავ პროექტს ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით მოწყვლადი ჯგუფების დასახმარებლად. კარგად დაგეგმილი და საინტერესო შეხვედრების პარალელურად ისტორიული ძეგლების და ქალაქის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება/გაცნობის შესაძლებლობაც მოგვეცა. აღსანიშნავია რომ, სასწავლო ვიზიტის ყველა მონაწილემ თავისი საქმიანობისთვის საინტერესო ინფორმაცია წამოიღო სლოვაკეთიდან, რომელსაც დანერგავს, გააზიარებს მის საქმიანობაში.

„საზოგადოება ბილიკის“ წარმომადგენლებმა თვალნათლივ დავინახეთ ორგანიზაციის როლი, პერსპექტივები და მიმართულებები, რაც ხელს შეუწყობს გააფართოვოს მისი საქმიანობა.

ამერიკელები სტუმრად „საზოგადოება ბილიკში“

2023 წლის 6 აპრილს „საზოგადოება ბილიკს“ მარია ლონგი და ერინ სპიცერი ესტუმრნენ ამერიკიდან. სტუმრები ინგლისური ენის ხელმისაწვდომობის სასტიპენდიო პროგრამის (Access) სტუდენტებს შეხვდნენ. შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, სტუმრებმა გამოცდილება გაუზიარეს სტუდენტებს და მათთან ისაუბრეს ინგლისური ენის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ აქსესის კურსდამთავრებულებიც, რომლებმაც გააკეთეს პრეზენტაცია აქსესის პროგრამის მიზნებისა და შესაძლებლობის შესახებ, ასევე ისაუბრეს გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ბოსტონში ვიზიტზე.

მადლობის სიგელი გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან

2023 წლის 2 აპრილს, „საზოგადოება ბილიკს“ ადრეული ინტერვენციის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის გორის მუნიციპალიტეტის მერიისგან მადლობის სიგელი გადაეცა.

ფინელი სტუმრები „საზოგადოება ბილიკში“

2023 წლის 17 მარტს, „საზოგადოება ბილიკს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი - ქალბატონი ნინო შატბერაშვილი, ფინეთის Juvaskyla-ს უნივერსიტეტის წარმომადგენლები : Ingo Stamm და Kati Turtiainen ესტუმრნენ.

„საზოგადოება ბილიკის“ ორგანიზაციულმა განვითარების მენეჯერმა ლელა მინდიაშვილმა სტუმრებს ორგანიზაციის საქმიანობა გააცნო; ბავშვზე ზრუნვის პროგრამის მენეჯერმა ხვიჩა პოსოშვილმა ისაუბრა ბავშვზე ზრუნვის პროგრამასა და მის ფარგლებში მიმდინარე პროექტების შესახებ; სტუმრებმა ასევე „საზოგადოება ბილიკის“ ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრიც მოინახულეს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

პროექტის "დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება" ფარგლებში „საზოგადოება ბილიკმა" გორის, ხაშურისა და ახალციხის მუნიციპალიტეტების მერიებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გააფორმა.

მემორანდუმი პროექტის ფარგლებში, მხარეებს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს.

პროექტი „დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება" მხარდაჭერილია პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

სასტუმრო „გორი ინნ" - GORI INN

2023 წლის 23 იანვარს, სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სასტუმრო "გორი ინნ"-ის წარმომადგენლებმა "საზოგადოება ბილიკის" დღის ცენტრებისა და მცირე საოჯახო სახლების აღსაზრდელებს უმასპინძლეს.

„საზოგადოება ბილიკის" 60-მდე აღსაზრდელმა ჯერ სასტუმრო დაათვალიერა, შემდეგ კი სადღესასწაულო ტორტი, "ინნ ჯგუფის" გუნდთან ერთად გაჭრა.

სოციალური პასუხისმგებლობა

2023 წელს „საზოგადოება ბილიკს“ ვახტანგ ფხაკაძის სახელობის საქველმოქმედო ფონდი” დაუ-მეგობრდა. ფონდის წარმოამდგენლები მუდმივად უჭერენ მხარს ორგანიზაციის საქმიანობას. მათი სოციალური პასუხიმგებლობის ფარგლებში დღის ცენტრის ბენეფიციარებისთვის არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა. გარდა ამისა ფონდის გადაწყევტილებით, ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, განხორციელდა ხატვის პედაგოგის დასაქმება დღის ცენტრებში, რომლის 1 წლის ანაზღაურებას დაფარავს აღნიშნული ფონდი. ეს ფიანანსური მხარდაჭერა მნიშვნელოვანია როგორც ორგანიზაციისთვის, ისე ბავშვებისთვის.

ფონდის წარმომადგენლები „საზოგადოება ბილიკის“ აღსაზრდელებს სტუმრობენ ხშირად და ბავშვებს ახარებენ სხვადასხვა საჩუქრებით.

წინა საახალწლო მხარდაჭერა

ქორთიარდ მერიოტი

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მხარდაჭერით დაგვიკავშირდა სასტუმრო ქორთიარდ მერიოტის წარმომა-დგენელი და საახალწლოდ მცირე საოჯახო სახლებისთვის გადმოგვცეს საოჯახო და საყო-ფაცხოვრებო ნივთები.

სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში სამთავროვო, არასამთავრობო და ბიზნეს ორგა-ნიზაციებმა წინა საახალწლოდ „საზოგადოება ბილიკის“ ბენეფიციარებს გადასცეს საჩუქრები, სათამაშოები, ტკბილეული და სხვა:

- გორის მუნიციპალიტეტის მერია
- ხაშურის მუნიციპლაიტეტის მერია
- „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაცია
- ინტერნეტ მაღაზია ციტრუსი
- კაფე სფეისის დამფუძნებელი სოსო მეზვრიშვილი
- რუისის #2 საჯარო სკოლა
- გორის #12 საჯარო სკოლა

მედიის მიერ გაშუქებული სიუჟეტები და სტატიები, 2023

ტელეკომპანია თრიალეთი
o2023 წლის 14 დეკემბერს, USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში სკოლა - ბიზნესის ფორუმი გაიმართა.
ბმული:http://trialeti.ge/%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%98/?fbclid=IwAR3t-N8w-f-hSmOYOMwRsfgtzdqIdXk0vA5yjeaYAJUUz3EtWzE71tCStuY4

გორის მაცნე
oსკოლა-ბიზნეს ფორუმი
ბმული: https://www.gmnews.ge/geo/9983?fbclid=IwAR3FoExcQxCQcMGdVHue3XJcy_-nv7MwH0Wr3s_udBnQyWfQ2cqxxw7jSBg

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ლიზი ბალახაშვილისა და ჯული როსტომაშვილის მიერ მომზადებული სიუჟეტი, რომელიც შშმ პირების მხარდაჭერის საკითხებს ეხება.
ბმული: https://www.facebook.com/watch/?v=2041743379531832

Publicity.Ge
oკორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება და მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობა.
ბმული: https://publicity.ge/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/12/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%9B%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%AF%E1%83%92%E1%83%A3%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%-91%E1%83%90/2755?fbclid=IwAR1D_r_knqdCn-N9YBw6LEN7pCgdchow4CvdwryoBB3tW3zJ5tGT6Ckj5co

„დია“
oვიდეო ინტერვიუ TV “დიას” ჟურნალისტი ნიკა გაბლიშვილი - „საზოგადოება ბილიკის“ მიერ, მედიის წარმომად-გენლებისთვის ორგანიზებული ტრენინგის შესახებ შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე.
ბმული: https://www.facebook.com/societybiliki/videos/1398611757361594

NEO TV
oირინა ხმიადაშვილის სტატია „საზოგადოება ბილიკის“ მიერ, მედიის წამომადგენლებისთვის ორგანიზებული ტრე-ნინგის შესახებ შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის საკითხებზე.
ბმული: https://neotv.ge/%e1%83%97%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%a1%e1%83%ac%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%9b%e1%83%99%e1%83%95%e1%83%98%e1%83%93%e1%83%a0%e1%83%94/?fbclid=IwAR2MCGWhdgGD0DaAuCpyNDaG86zNiGkP0H4nkszb1nuq1Zn2XViqcanb1Xs

Publika.ge
o„სტაჟირებიდან მენეჯერობამდე“ - ახალგაზრდების გაძლიერება ცოდნასა და უნარებში.
ბმული: https://publika.ge/article/stadjirebidan-menejerobamde-akhalgazrdebis-gadzliereba-codnasa-da/?fbclid=IwAR3M-V8J-4VbG_c27CgjoZqANVNBYo-e1D4ijucXHABZq55rL85lyI-gqjAs

ტელეკომპანია ბორჯომი
oშეხვედრა მედიის წარმომადგენლებთან
ბმული: https://borjomi.tv/axali-ambebi/sazogadoeba/article/18983-regionuli-mediis-shekhvedra-borjomshi?fb-clid=IwAR0pj-RRBsaQF5LnjGdwIb8PmsXVP9SaErNzTVkgIt9P3UyUvaIE1NROf6s

Civics.ge
ოზაფხულის არდადეგების პროდუქტიულად გატარების მიზნით, კარალეთის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა "საზაფხულო სკოლა" შექმნეს. USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა.
ბმული: https://civics.ge/news/1612/%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%97,-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-?fbclid=IwAR1-U-53mVzVH_hqZN-brcRRjBNjgOvLcjQU7CgJImgvr-FhMYgv2EJfoyIs#1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9B%E1%83%90-

ტვ მონიტორინგი
ისვენეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტის დააფინანსება მოიპოვა - USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა.

ბმული: https://tvmonitoringi.ge/open_post/5755/goris-municipalitetis-sofel-svenetis-sajaro-skolis-mostsavleebs-proeqt-ma----sporttan-ertad-vizrdebit-daafinanseba-moipova.html?fbclid=IwAR0wF6dpWV4v8xBTrFEK-eSHS5iYr7_z02dB6iRFmZniRw-jdvXG3ap2ujhg

GM news.ge
ობაკურიანში საზაფხულო ბანაკი დაიხურა.
ბმული: https://www.gmnews.ge/geo/9313?fbclid=IwAR0pj-RRBsaQF5LnjGdwIb8PmsXVP9SaErNzTVkgIt9P3UyUvaIE1NROf6s

GM news.ge
ოფხვენისის საჯარო სკოლის ეზოში სკვერი მოსწავლეების მიერ ბიზნეს ფორუმზე წარდგენილი პროექტით ეწყობა, რომელიც განხორციელდა USAID სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში.
ბმული: https://www.gmnews.ge/geo/9256?fbclid=IwAR2XiICoYJXs1Hl2b7XksN8r0JsXRzkaKS0Uz0BtWXdjOmGqMRzhILFzuz4

მოზაიკა
ოფხვენისის საჯარო სკოლის ეზოში სკვერი მოეწყობა
ბმული: https://mozaikanews.ge/2023/08/14/%e1%83%a4%e1%83%ae%e1%83%95%e1%83%94%e1%83%9c%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%af%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%9d-%e1%83%a1%e1%83%-99%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1/?fbclid=IwAR11eHXwDDx5WrSaXSWRvYV5ZX8Wk3svdaZGAcAmtwBAg2tSelIN-ibzSZxs

Qartli.ge
ი2023 წლის 10-14 ივლისს „საზოგადოება ბილიკის" პროექტის "დასაქმების ადგილობრივი პოლიტიკის განვითარება - შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება" ფარგლებში 4 დღიანი ტრენინგ კურსი გაიმართა შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოსა და პროექტში შექმნილი მუნიციპალიტეტების სამუშაო ჯგუფის წევრებისთვის, დაბა ურეკში.
ბმული: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/20611-shshm-pirtha-sakithkhebze-momushave-sabtcos-tsevrebisth-vis-treningi-chatarda?fbclid=IwAR2D8p8e8m2aEVs5vtnwW-nnNvUhzx3yGtRyOBF3RTbqOCtyENR6cxmPyro

President.ge
ი პრეზიდენტის მრჩეველი შშმ პირთა საკითხებში ხაშურის, გორის და ახალციხის საკრებულოსა და მერიის თანამშრომლებს შეხვდა.
ბმული: https://president.ge/index.php?m=209&news_id=1944&lng=geo&fbclid=IwAR2QRmR5yclH7SQOJOvyhrlIj4nYVWNR-4BNiRt0nF2iOLlB7JSZDZJAwYVA

რადიო მარნეული
ბმული: https://www.facebook.com/radiomarneuli/videos/649078657120579

ტვ ივერია
ახალშურში, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი გაიხსნა.
ბმული: https://www.facebook.com/TViveria/videos/669566964991995

მოზაიკა
ახალშურში, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების ცენტრი გაიხსნა.
ბმული: https://mozaikanews.ge/2023/06/23/%e1%83%ae%e1%83%90%e1%83%a8%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%a8%e1%83%98-%e1%83%91%e1%83%90%e1%83%95%e1%83%a8%e1%83%95%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%96%e1%83%90%e1%83%a0/?fbclid=IwAR1IHWwQEkbLpHocb-nKngCFF0gD0E3NCXEIvFZtMlZ-k4RpDPRlVvUxCmOw

მოზაიკა
ი„საზოგადოება ბილიკმა" USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის 1 წლის შედეგები შეაჯამა.
ბმული: https://mozaikanews.ge/2023/06/14/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%96%e1%83%9d%e1%83%92%e1%83%90%e1%83%93%e1%83%9d%e1%83%94%e1%83%91%e1%83%90-%e1%83%91%e1%83%98%e1%83%9a%e1%-83%98%e1%83%99%e1%83%9b%e1%83%90-usaid-%e1%83%98%e1%83%a1/?fbclid=IwAR2qfaey4VXn4INs4TUGRQhb8CXbni-YMgQTN8utbQy-ckdgAeueLysXFaeo

Neo Tv
ციფრული მოქალაქეობის კომპონენტი 56 სკოლაში – შიდა ქართლში მოსწავლეთა გადამზადება მიმდინარეობს
ბმული: https://neotv.ge/%e1%83%aa%e1%83%98%e1%83%a4%e1%83%a0%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%94%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%98%-e1%83%a1-%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9b/?fbclid=IwAR3bdkdVc0ssxvOCWD4IeX6LH-drE2yj3HZCZuajw4Y0-C3IH2u5m-cxbbk

Palitra news.ge
ი"საზოგადოება ბილიკის" ასოციაციის თავმჯდომარე მარიკა მღებრიშვილი "შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობა და შრომის პოლიტიკის ოპტიმიზაცია საქართველოს შრომის ბაზარზე" შესახებ.
ბმული: https://www.facebook.com/PalitranewsTV/videos/550725203903248/

Qartli.ge
ეპროექტის "ახალგაზრდების თვითგამორკვევის, კეთილდღეობისა და დასაქმების ხელშეწყობა".
ბმული: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/20240-akhalgazrdebs-itsveven-proeqtshi-akhalgazrdebis-thvithga-morkvevis-kethildgheobisa-da-dasaqmebis-khelshetsyoba-?fbclid=IwAR2VEqi8_nItqgcO9wXM-L42-jhZnJ94qPQ-frUp0ixpOfFN-ZeeEtss4jPg

Qartli.ge
ი„საზოგადოება ბილიკს" ღია საზოგადოების ფონდის წარმომადგენლები ეწვივნენ.
ბმული: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/20218--sazogadoeba-biliks--ghia-sazogadoebis-fondis-tsarmo-madgenlebi-etsvivnen?fbclid=IwAR1tbJH0FdsHmPPJ1UX-ki3fqMlUVfxkuiGBMhlmLFgC2uaExDrOibLdOOM

Qartli.ge
ეკულას წარმომადგენლებმა სვენეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს სპორტული ინვენტარი გადასცეს.
ბმული: https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/20202-kulas-tsarmomadgenlebma-svenethis-sajaro-skolis-mostsav-leebs-sportuli-inventari-gadasces

Neo TV
ი"გარემოს დაცვა ადრეული ასაკიდანვე უნდა დავიწყოთ, რომ ჯანსაღი მომავალი გვქონდეს" – მამუკა ზოლოტარიოვი.
ბმული: https://neotv.ge/%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%9b%e1%83%9d%e1%83%a1-%e1%83%93%e1%83%90%e1%83%aa%e1%83%95%e1%83%90-%e1%83%90%e1%83%93%e1%83%a0%e1%83%94%e1%83%a3%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%90%e1%83%a1/?fbclid=IwAR2o1SVoPRKkKFrUYBIkHK18NB82PPxGzM7OeGnUR01MrlaHmPz_ZedEfis

Neo Tv
ისკოლა-ბიზნესის ფორუმი
ბმული: https://neotv.ge/%e1%83%a8%e1%83%98%e1%83%93%e1%83%90-%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%83%9a%e1%83%98%e1%83%a1-%e1%83%a1%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%9a%e1%83%90-%e1%83%91%e1%83%98%e1%83%96%e1%83%9c%e1%83%94/?fbclid=IwAR3areQdynEzdW-K0c_Rv7HIG0SfsYs8FiUc2f3dFIAGIqwef8g9BXl5zFA

ქართლის ამბები
ოკულა მოსწავლეთა 3 პროექტს დააფინანსებს! USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა / USAID Civic Education Program.
ბმული: https://www.facebook.com/USAIDCEP/videos/1011691749789147

ქართლის ამბები
ი„გორი ინნმა" სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვები ტორტზე დაპატიჟა.
ბმული : https://www.qartli.ge/ge/akhali-ambebi/article/19893--gori-innma-socialurad-daucveli-da-sakhelmtsifo-mzrunvelobis-qvesh-myof-bavshvebi-tortze-dapatizha

2023 წლის ფინანსური ანგარიში

შემოსავალი
1 440 254.61 ლარი

სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება
902 987.32 ლარი

დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებიდან
50 958.51 ლარი

გრანტები
395 379.32 ლარი

ორგანიზაციის საკუთარი შემოსავალი
12 838.90 ლარი

მთლიანი ხარჯი
1 241 143.74 ლარი

სახელმწიფო პროგრამული დაფინანსება
714 592.15 ლარი

დაფინანსება ადგილობრივი ხელისუფლებიდან
45 539.24 ლარი

გრანტები
469 211.02 ლარი

ორგანიზაციის საკუთარი შემოსავალი
11 801.33 ლარი



- პირდაპირი ხარჯი - 1 070 791.12 ლარი - 86,27%
- ადმინისტრაციული ხარჯი - 170 352.62 ლარი - 13.73%

პარტნიორობა და კოალიციები

„საზოგადოება ბილიკის“ დონორები და პარტნიორები არიან: Global Fund for Children; McCabe Pilgrimages, St Martin's Church/Worcester; American Friends of Georgia; UNICEF; Mercy Corps, Care International in Caucasus; PH International; USAID, EWMI; US Embassy in Georgia, Slovak Aid, Partners Georgia, TENENET, SOFT tulip; SOS ბავშვთა სოფელი, ევროპის ფონდი, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“, „გადავარჩინოთ ბავშვები“; მშვიდობის კორპუსი; ღია საზოგადოების ფონდი; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გორის, ხაშურის, დუშეთის, ბორჯომის, ახალციხის, მარნეულის, ზუგდიდის და მცხეთის მუნიციპალიტეტები; ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოსთვის.

თანამშრომლობა/კოალიციები:

- ✔ ძალადობისგან დაცვის ქსელის შიდა ქართლის კომიტეტი;
- ✔ კავკასიის ქსელი ბავშვებისთვის (CNC);
  საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის; რეგიონალური ორგანიზაციების სამოქალაქო ქსელი;
- ✔ კავკასიის ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების თანამშრომლობის ქსელი (CCC);
- ✔ EASPD;
- ✔ World Federation of Youth Clubs (Boys and Girls Clubs).

გორი, რუსთაველის ქ. #19/ა; 19/A Rustaveli Street, Gori

+995 (370) 27 54 10; +995 599 53 40 45

contact@biliki.ge; societybiliki@gmail.com;

www.biliki.ge; www.biliki.org.ge

www.facebook.com/societybiliki